

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში („მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

29/03/2016, 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომ „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ

და

მეორე მხრივ, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ საიდენტიფიკაციო კოდი: 404485188 (შემდგომ „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, ლევან მესხელის (პირადი N 01008030756) მიერ,

მხარეები თანხმდებიან შეიტანონ მემორანდუმში შემდეგი სახის ცვლილება:

1. შეიცვალოს მემორანდუმის 2.3. მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„2.3. მემორანდუმის 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის თქმის შესახებ.“
2. შეიცვალოს მემორანდუმის 2.4. მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„2.4. მემორანდუმის 2.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“).“
3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების პირველი მუხლი მოქმედებს 2016 წლის 31 ივლისიდან, ხოლო შეთანხმების მეორე მუხლი მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრიდან.
4. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები რჩება უცვლელი.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
6. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

ლევან მესხელი




## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2603 2016 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შორის  
2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმება.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010183999573716

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7919

07 / დეკემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,


საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 02 დეკემბრის №04/4761 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში – „მემორანდუმი“) ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

წარმოდგენილი ცვლილება ეხება მემორანდუმის 2.4 მუხლს, რომლის თანახმად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადაში. მოცემული მდგომარეობით მუხლის პირველად ვერსიაში მითითებული ეს ვადა უკვე გასულია. ამასთან, მემორანდუმის 5.2 მუხლის „ბ.გ.“ პუნქტის თანახმად, დადგენილია, რომ, თუ 2.4. მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მხარეთა მიერ არ იქნა დადებული ხელშეკრულება, მემორანდუმის მოქმედება შეწყდება ამ ვადის ამოწურვისთანავე. შესაბამისად, ვასკვნით, რომ მემორანდუმის მოქმედება უკვე შეწყვეტილია, რაც, წარმოდგენილი ცვლილების შინაარსის გათვალისწინებით, არ არის მხარეთა ნება; პირიქით, მათი ნებაა, გაგრძელდეს მემორანდუმით გათვალისწინებული სამართალურთიერთობა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეთანხმების პროექტს უნდა დაემატოს დათქმა იმის თაობაზე, რომ მითითებული ვადის ცვლილება ძალაში შევა მემორანდუმის 2.4 მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე.

აქვე დამატებით შევნიშნავთ, რომ მემორანდუმში 2016 წლის 05 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებები, ასევე, გაფორმებული იყო მემორანდუმის 2.3 მუხლით დადგენილი ვადის დარღვევით. შესაბამისად, მემორანდუმის „5.2.ბ.ბ.“ მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხარეთა შორის სამართალურთიერთობა შეწყვეტილ იქნა ჯერ კიდევ წინა ცვლილების განხორციელებამდე, ანუ 2016 წლის 01 აგვისტოდან. ამდენად, მომავალში არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში მოწესრიგდეს მემორანდუმის 2.3. მუხლის ცვლილების ძალაში შესვლის საკითხიც.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე



ალექსანდრე ბარაბიძე



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16176396, 28/12/2016 12:34:12

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია

**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 404485188

**რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** 09/01/2015

**მარეგისტრირებული ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, კოსტავას ქ. N 47/57.

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ელ. ფოსტა:** energydevelopmentgeorgia@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმოშადგენლობა**

- დირექტორი - 01008030756, ლევან მესხელი

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01024036045, ნოდარ საბანაძე	100.0000000000%	

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

რეგისტრირებული არ არის

---

**ყადაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

---

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ საბზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ საბზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)